ხელშეკრულება №01-118/2023
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ.თბილისი **მაისი, 2023 წელი**

შემსყიდველი: სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი კობიაშვილის სახით
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №89/24 - კ. მარჯანიშვილის №89/24;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205316399;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კოდი: TRESGE22

მიმწოდებელი: ფიზიკური პირი ცოტნე ნადირაშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი“),
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სანზონის დასახლება, კორპუსი 16ვ, ბინა 48;
საიდენტიფიკაციო კოდი: 01019079223;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“, ბ. კოდი: TBCBGE22, ა/ა GE32TB7746445063300001

ერთი მხრივ შემსყიდველი, ხოლო მეორე მხრივ მიმწოდებელი, ხელმძღვანელობენ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ადასტურებენ, რომ **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის , მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტისა და და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“ -ს მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად,** გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, ქალაქ თბილისში (მისამართი: თვალჭრელიძის ქ. №45ა) შემსყიდველის სარგებლობაში არსებული თავშესაფრის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი N01.19.18.001.071 ზონა თბილისი - 01, სექტორი სამგორი -19, კვარტალი -18, ნაკვეთი - 001/071) დაგეგმილი მშენებლობის: კაპიტალური ღობის, სასაწყობე ფართის და 3 (სამი) ერთეული ათ ვოლიერიანი შენობის ელ. მომარაგების პროექტის, წყალმომარაგების, სანიაღვრე, საკანალიზაციო სისტემების პროექტების მომზადების, შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების ლოკალურ-რესურსული, კრებსითი ხარჯთაღრიცხვის (2023 წლის II კვარტლის დონეზე) შედგენის, საჭიროების შემთხვევაში მათში კორექტირების (ცვლილებების შეტანის გეოლოგიური დასკვნის და საპატრულო საგზაო სქემის მომზადების მომსახურების (შემდეგში - მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა.

1.2. მომსახურების აღწერა:

№	*Cpv კოდი*	*სამუშაოს დასახელება*	*რაოდენობა*	*მომსახურების ერთეულის ფასი (ლარი)*	*ჯამური თანხა (ლარი)*
1	71323100	ელ. მომარაგების პროექტი *(სასაწყობე ფართის და 3 (სამი) ერთეული ათ ვოლიერიანი შენობის)*	4	*175*	*700*
2	71300000	წყალმომარაგების, სანიაღვრე, საკანალიზაციო სისტემების პროექტი *(სასაწყობე ფართის და 3 (სამი) ერთეული ათ ვოლიერიანი შენობის)*	4	*175*	*700*
3	71351730	საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა	1	*1100*	*1100*
4	71200000	სატრანსპორტო სქემები	1	*800*	*800*
5	71324000	ხარჯთაღრიცხვა *(კაპიტალური ღობის, სასაწყობე ფართის და 3 (სამი) ერთეული ათ ვოლიერიანი შენობის სამშენებლო სამუშაოების)*	1	*1025*	*1025*
				ჯამი:	***4325***

1.3. შესყიდვა განხორციელდა N:73-01230973927 მოხსენებითი ბარათის მოთხოვნების შესაბამისად.

2. მხარეთა მოვალეობები

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სრულყოფილად, ხარისხიანად, ჯეროვნად და უნაკლოდ ამ სფეროში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, იმ მოცულობით, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები და იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

2.1.2. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულების საგანში მითითებული დოკუმენტაცია როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით;
2.1.3. პროექტები და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შეადგინოს შემსყიდველთან შეთანხმებით, უზრუნველყოს ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა ყველა შემადგენელი ნაწილის ურთიერთკავშირის გათვალისწინებით.
2.1.4. მიმწოდებლის მიერ დოკუმენტაციის შექმნის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე სამშენებლო/სარემონტო მასალების გამოყენება. დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს სამუშაოების დროს გამოსაყენებელი მასალების აღწერას და სპეციფიკაციას, რის საფუძველზეც სამუშაოების შესრულების დროს შესაძლებელი გახდება გამოყენებული მასალის ხარისხის გაკონტროლება.
2.1.5. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სხვა შესაბამისი მარეგულირებლების მოთხოვნების შესაბამისად;

2.1.6. მიმწოდებელი ვალდებულია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შეადგინოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ დადგენილება N52-ის და ტექნიკური რეგლამენტის - ,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ დადგენილება №55-ის საფუძველზე, სამშენებლო ნორმებითა და მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოცემული სამშენებლო რესურსების ფასებით 2023 წლის II კვარტლის დონეზე, აგრეთვე მეთოდური ცნობარის (მშენებლობის და სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ფასების გაანგარიშების შესახებ) შესაბამისად, ამასთან ხარჯთაღრიცხვაში მითითებული პროცენტული მაჩვენებლები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესს (2014 წლის 14 იანვრის საქართველოს მთავრობის დადგენილება №55);
2.1.7. საჭიროების შემთხვევაში, სარემონტო სამუშაოების მსვლელობის პერიოდში, განახორციელოს სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება (ცვლილებების შეტანა) შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე (არ იგულისხმება პროექტების არსებითი ცვლილება).

2.1.8. გასწიოს ყველა თანმდევი მომსახურება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), რომელიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან.

2.1.9. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს, კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი მის მიერ გაწეული მომსახურების ყველა ნაკლის და ხარვეზის აღმოფხვრა.

2.1.10 მოთხოვნის შემთხვევაში გონივრულ ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია მომსახურების გაწევის მიმდინარეობის შესახებ.

2.1.11 თუკი ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ მომსახურებას აღმოაჩნდება რაიმე ნაკლი, ან ხარვეზი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გონივრულ ვადაში გამოასწოროს ეს ნაკლი/ხარვეზი და შეცვალოს თავისი ხარჯით, ან აუნაზღაუროს შემსყიდველს უხარისხობით მიყენებული ზიანი;

2.1.12. ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინოს ერთ ეგზემპლარად, ნაბეჭდი ვერსიის სახით ხელმოწერილი შემსყიდველის ოფისში და ასევე ელექტრონული ვერსია;

2.1.13. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, შემდგომში სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, პროექტების და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკონსულტაციო მომსახურების გაწევა (არ იგულისხმება პროექტების არსებითი ცვლილება).

2.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
2.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3. შემსყიდველი ვალდებულია:
2.3.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლისთვის“ მომსახურების გაწევის პერიოდში შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა;
2.3.2 ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, მიაწოდოს მოთხოვნები, გაუზიაროს მოსაზრებები გასაწევი მომსახურების დეტალების შესახებ.
2.3.3. უზრუნველყოს შესყიდვის საგნის მიღება.

2.3.4. უზრუნველყოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად.
2.3.5. დაიცვას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

2.4. შემსყიდველის უფლებამოსილია:
2.4.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.
2.4.2. დოკუმენტაციის მომზადების პროცესში შესაძლებელია განახორციელოს დაზუსტებები.

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4 325.00 (ოთხი ათას სამას ოცდახუთი)** ლარს:
3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაში შედის როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულება, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, **საშემოსავლო გადასახადის და საპენსიო შენატანის გადახდის ვალდებულება აქვს შემსყიდველს.**
3.3. შემსყიდველის დაფინანსების წყარო: **2023 წლის ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი.**

4. ანგარიშსწორების წესი
4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და წინამდებარე ხელშეკრულების 5.4. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.
4.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
4.3. გადახდის ფორმა – უნაღდო;
4.4. მომსახურების გაწევის თარიღად ითვლება, აღნიშნულზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების რიცხვი.

5. მომსახურების გაწევის ადგილი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი
5.1. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი, თვალჭრელიძის ქუჩა #45 ა.
5.2. მომსახურების გაწევის ფორმა და ვადა: ეტაპობრივად, ხელშეკრულების დადებიდან 60 (სამოცი) სამუშაო ჩათვლით პერიოდი;
5.4. მომსახურების გაწევის პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.
5.5. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება, გაწეული მომსახურების ინსპექტირებისა და აღნიშნულის თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება, სააგენტოს დირექტორის მოადგილეს.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადები
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. ხელშეკრულების ინსპექტირება
7.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
7.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება ევალება, სააგენტოს დირექტორა ან/და დირექტორის მოადგილეს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.
8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:
ა) ხელშეკრულებით გათვალისიწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ გაწევა;
ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზ-რუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
8.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა
9.1.მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების მეორე მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4.მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
9.5. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს, ხოლო ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.
9.6.რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების 0,1%-ის ოდენობით.

10. ფორს-მაჟორი
10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი
11.1.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ წინამდებარე ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.
11.2.წინამდებარე ხელშეკრულების 11.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.
11.3.გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, ის გარემოება, როდესაც წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.
11.4.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 11.1, 11.2. და 11.3. პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.5. ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთი

ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
11.6.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.
12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. დავების გადაჭრის წესი
ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

15. დასკვნითი დებულებები
15.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;
15.3. ხელშეკრულება, მხარეების მიერ სხვადასხვა თარიღში დამოწმება/დადასტურების შემთხვევაში, გაფორმებულად ჩაითვლება იმ თარიღში, როდესაც მეორე მხარე დაამოწმებს/დაადასტურებს ელექტრონული ხელმოწერით/ შტამპით.

შესყიდველი:

სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო
დირექტორი :

გიორგი კობიაშვილი

მიმწოდებელი:

ფ. პ. ცოტნე ნადირაშვილი

Tsotne Nadirashvili 01019079223
Digitally signed by Tsotne Nadirashvili
Date: 2023.05.10 14:58:42